შინაური საქმეები

№ 21.

კვირა 30 მაისი, 1910 წ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: ჭეშმარიტი გზა.—მღ. ი. ლუკიანოვისა; (თარგმანი). ენის გაჩენა.—ტ. ჯაფარიძისა; ეპ. ლეონიდეს მოგზაურობა გურიაში—№. ქალაქ ქუთაისის გამგეების საყურადღებოდ.—ქუთათელისა; სად არის ბერობა?—ხელისა; უცნაური ზარის ხმები—(„რებუსი“). ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიის მსახურთ. შემოსავალი. დეკ. ი. წერეთლისა; დიმიტრას მამიდაშვილს.—ეპ. დავითისა; ურწმუნო იყო თუ არა დარვინი? (რებუსი)

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. დ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ჭეშმარიტი გზა.

I

სახარება, როგორც საფუძველი ცხოვრებისა.

ყოველი შეგნებული ადამიანისთვის აუცილებლად იბადება კითხვა, რა მიზანი აქვს მის საკუთარ არსებობას და სხვა ადამიანთა არსებობას. რა მიზანია ადამიანის ცხოვრებისა,—აი კითხვა, ერთი უსაჭიროესთაგანი, და მასთან, ერთი სადავო კითხვათაგანი, ჩვენის აზროვნებისათვის. ეს კითხვა უსაჭიროესია იმიტომ, რომ მისი ასეთი, თუ ისეთი განმარტებისაგან არის დამოკიდებული ჩვენი სიცოცხლის მთელი მიმართულება, მთლად ჩვენი ყოფა-ქცევა, მოქმედება. ეს კითხვა, მასთანავე, ერთი სადავო კითხვათაგანია, იმიტომ რომ იგი განიმარტება სრულიად სხვა-და-სხვანაირად ერთი მეორის საწინააღმდეგოდ. მაგრამ მაინც, მიუხედავად სხვა და სხვა პასუხისა ამ კითხვაზე, ეს პასუხები ერთ საგანში ეთანხმდებიან ერთმანეთს, სახელდობრ, იმაში, რომ კაცის ცხოვრების მიზანი—სიკეთე დ ნეტარებაა, ანუ, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, ბედნიერებაა. ბედნიერება,—მართლაცა და, რა მისნური სიტყვაა ეს! ვის არ უნდა ბედნიერება და ვინ არ მიისწრაფვის მისკენ? მაგრამ აი სწორეთ აქ, იმის განმარტებაში, თუ რაში მდგომარეობს ბედნიერება, არსებობს სხვა და სხვანაირი აზრი, თითქმის ერთი მეორის საწინააღმდეგო. რა თქმა უნდა, ყველა ეძებს ბედნიერებას და მიისწრაფვის მისკენ, მაგრამ ყველას თავისებურად ესმის ბედნიერება; და რაშიაც ერთი ჰპოებს ნეტარებას და ბედნიერებას, იმაში მეორე არამც თუ არ ჰპოვებს ბედნიერებას, არამედ, პირიქით, იგი მიაჩნია მას წყაროდ თავის ტანჯვა-წვალებისა. ავადმყოფს ჰგონია, რომ ბედნიერებისთვის და კმაყოფილებისთვის საკმარისია მხოლოდ ჯანსაღად ყოფნა. ღარიბს თავის ბედნიერებისთვის პირველ საჭიროებად მიაჩნია

სიმდიდრის შეძინა; მდიდარს, კიდევ, მიაჩნია საჭიროდ თავის ᲟᲘᲜᲘᲐᲜ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და პატივ-დიდების მიხწევა. რომელსაც პატივისა და ქვეყნიური დიდებისთვის მიუხწევია, ის კიდევაც ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, იტანჯება თავის უფლებრივი ტვირთის სიმძიმით და მას არც-კი ახარებს გარემოცული ბრწყინვალება და ყველასაგან მონური პატივის-ცემა. ჩვენ არ შევცდებით, თუ განვმარტავთ ბედნიერებას, როგორც კაცის ისეთ მდგომარეობას, როდესაც იგი ყველაფრით კმაყოფილი, არა გრძნობს არავითარ საჭიროებას. მაგრამ აი კითხვა, რა გზით მოიპოვება კაცის ასეთი ნეტარი მდგომარეობა?

— ამ კითხვაზე ბევრი სხვა და სხვანაირი პასუხია, მაგრამ ესენი შეიძლება ორ შეხედულობად გაიყოს. ერთ მათგანს მიაჩნია შესაძლებლად კაცის ბედნიერება საქაო ქვეყნიურ ცხოვრებაში, და მხოლოდ ქვეყნიურში. ᲮᲝᲚᲝ მეორე შეხედულობა, უმთავრესად რელიგიოზური, თუმცა არა ᲰᲧᲝᲤᲡ უარს რამოდენიმედ ქვეყნიურ ბედნიერებას, მაგრამ მაინც სრულს და ᲙᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ბედნიერებას ᲰᲔᲓᲐᲕᲡ საიქიოზეციურ ცხოვრებაში- თუ ავიღებთ მხედველობაში ახლანდელ დროს,პირველი შეხედულობა უფრო გავრცელებულია, ესე იგი,— მისწრაფება ქვეყნიური ბედნიერებ საკენ,უარყოფით ზეციური ბედნიერებისა და სრულის მისდამი გულგრილობით. გავჩერდეთ პირველად ამ მიმართულებაზე და გავშინᲯოთ, რამდენად საფუძვლიანია იგი, რამდენად მტკიცდება იგი ცხოვრების სინამდვილის ფაქტებით, და რამდენად შეიძლება მიღებულ იქმნას იგი ადამიანის საღი მიუდგომელი გონებით, ცხოვრების სინამდვილე, თუ მივიღებთ მას, როგორც თვით-მიზანს, და შევზღუდავთ კაცის სიცოცხლეს მხოლოდ ამ ქვეყნიურის არსებობით,—ნათლად გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ ბედნიერება აქ შეუძლებელია ულმობელი სიკვდილის გამო, რომელსაც ემორჩილება ქვეყანაზე ყოველი სულდგმული. ᲧᲕᲔᲚᲐ ჩვენ ვიცით, რა ძლიერი წყურვილი გვაქვს სიცოცხლისა, და რანაირის სიძულვილით გავურბივართ სიკვდილს. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ-ᲙᲘ თვითეულ ნაბიᲯზე თითქოს დაგვცინის ჩვენ, და მუდამ დღე ისეთ ფაქტებს გვახილვინებს, რომელნიც თავ-ზარს სცემენ თვით გულ-ქვა ადამიანსაც, რომ აღარა ვსთქვათ ის უთვალავი უბედურობები, რომლების საშინელ მსხვერპლად შევიქნებით ᲮᲝᲚᲛᲔ ჩვენ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ.

სავსეა ჩვენი ცხოვრება მაგალითებით სხვა და სხვა უბედურობისა, სიკვდილისა, თვით-მკვლელობისა, ძალმომრეობისა აიღეთ რომელიც მოგᲮვდებათ, გაᲖეთი, წაიკითხეთ და ნათლად დარწმუნდებით ამაში. ასეთი გულშემᲖარავი ამგები არამც თუ მᲭერმეტყველურად მოწმობენ და მოგვაგონებენ ჩვენთვისაც აუცილებელ ბოლოს—სიკვდილს, არამედ გვეუბნებიან აგრეთვე იმას, რომ ეს ბოლო ᲰᲙᲘᲓᲘᲐ ჩვენი თავᲖემოთ, როგორც ხმალი რომელიც ყოველ წუთს მᲖათაა მოსწყდეს და დაგვეცეს, ასე რომ უნებლიედ გვაგონდება ამასთან სიტყვები ძველი აღთქმის წინასწარმეტყველისა: „კაცი ვითარცა თივაარიან, დღენი მისნი, ვითარცა ყვავილი ველისა ეგრე აᲰყვავნეს; რამეთუ განვლო სულᲰან მისᲛან მის შორის, და არღარა იყოს, და არცა იცნას ადგილი მისი» (ფსალმ. 102, 15—16): და სხვა სიტყვები იაკობ Წმოციქულისა, რომელიც ამბობს, რომ ჩვენი ცხოვრება არის „როგორც კვამლი, რომელიც მცირედ Ჟამსა სᲰინს, და მერმე განᲰᲭრეს“ (იაკ. 4, 14)... მაშ, თუ კი ასეთია ქვეყნიური ცხოვრება ადამიანისა, და ასეთია ბოლო მისი, განა შეიძლება რომ იგი თავის-თავად ბედნიერებას შეადგენდეს კაცისათვის, თუმცა თავისუფალი იყვეს იგი ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲢᲐᲜᲯᲕᲐ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ, და თუნდაც მთლად კეთილ-დღეობით აღსავსე იყვეს იგი ჩვენთვის?

პირიქით, უფრო სამძიმო და საუბედურო არ ინᲭება კაცისათვის კეთილ-დღეობით და კმაყოფილებით აღსავსე ცხოვრება, რადგანაც მუდამ სიკვდილის მოლოდინი და მუᲭარა ბედნიერების წართმევისა მოუᲨᲮამავს მას სიცოცხლეს?! აი რატომ მიაჩნია სახარებას უბედურად ის კაცი, რომლის სიცოცხლე მთლად

კმაყოფილებაში და სავსებაში გადის: ,,ვაი თქვენდა მდიდარნო! ვაი თქვენდა განმაძღარნო აწ, რამეთუ გშიოდეთ. ვაი თქვენდა, რომელნი იცინით აწ! რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდეთ'' (ლუკასი, 6, 24—25). ანუ კიდევ:—„აწ უკვე თქვენცა მდიდარნო: სტიროდეთ და ჰგოდიბდეთ უბადრუკებათა მათ თვის, თქვენზედა მომავალთა. სიმდიდრე თქვენი დალპობილ არს, სამოსელი თქვენი მღილთა დაუჭამიეს. ოქრო თქვენი და ვერცხლი თქვენი დაგესლებულ არს'' (იაკობ. 6,1—3)... «უგნურო,—ეუბნევა ღმერთი სახარების იგავში ანგაარების მოყვარე მდიდარს,—ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?'' (ლუკ. 12, 20). ასეთივე შეხედულობა აქვს წმიდა მამებსაც და ეკკლესიის მოძღვართ შესახებ იმ ადამიანთა, რომელთა ცხოვრება აღსავსეა ქვეყნიური კეთილით. „ნუ მეუბნევი მე—გვასწავის წმ. იოანნე ოქროპირი,—რომ ესა და ეს კაცი ზის ეტლში, მაღლა უჭირავს თავი და გარს ახვევია მთელი გუნდი მცველებისა; ნუ მეუბნები ნურც იმის პაჟზე, ნურც ყვირილზე მისი გზირისა. თუ იგი, მმართველი ხალხისა, თვითონ ჰმონებს თავის ენებათა, ამისთანაზე მე ვიტყვი, რომ იგი მონაა, ყველაზე მომეტებული“ (ტ. III, წ. 1, გვ. 359).—„ჩუფიქრდი, ადამიანო, სიმდიდრის ვითარებას,—ამბობს წმ. ვასილი დიდი,—რას ხედავ საკვირველებას ოქროში?—ოქრო ქვა არის, ვერცხლი ქვა არის, მარგალიტი ქვა არის... განა ამ სიმდიდრის გამო სიკვდილმა ვინმე იპატია? ფულების გამო ავათ აღარ გახდა კაცი?... (ტ. IV, გვერდი 106—7). —„შენ ამაყობ სიმდიდრით, აღტაცებული ხარ სხეულის სილამაზით, ყველასაგან პატივისცემით. გაიგე შენ, რომ მომავალი ხარ, რომ შენ მიწა ხარ, და მიწადვე მიიქცევი. მოიგონე ისინი, რომელნიც შენზე წინათ სცხოვრობდნენ ამნაირ დიდებაში სადღა არიან აღჰურვილნი მოქალაქობრივი სიმამაცით? სად არიან უძლეველი მჭერმეტყველები? სად არიან მხედართ მთავარნი, მრძნებელნი? ყოველივე განა მტვერი არ არის? ყოველივე ბრაკი არ არის?“ (ტ. IV, გვ. 40—41). ამნაირათ სიტყვა ღვთისაც და სიტყვა ეკკლესიის მოძღვართა და წმ. მამათა გვარწმუნებენ ჩვენ, რომ ქვეყანაზე კაცისათვის ბედნიერება შეუძლებელია, თუ შევზღუდავთ მის სიცოცხლეს მხოლოდ ქვეყნიური არსებობით, და თუ მივიღებთ კაცს, როგორც გონიერ და შეგნებულ არსებას, რომელსაც უნდა, აზრი მისცეს თავის არსებობას და მოსძებნოს გონიერული მიზანი მისი. მაგრამ ზოგიერთი იტყვის, რა საჭიროა ძებნა რაღაცა ბედნიერებისა? რა საჭიროა მისწრაფება რაღაცა მიზნისაკენ და გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდნა? უკეთესი არ არის დავივიწყოთ ეს თავისშესაწუხებელი კითხვები და დავტკბეთ სიცოცხლით ისე, როგორც არის იგი, ვისარგებლოთ აწინდელი წუთის ბედნიერებით და არ ჩავიხედოთ უცნობ მომავალში? ხშირათ ისმის ამისთანა სიტყვები და კითხვები. მაგრამ ასეთი ლიპარაკი ნიშნავს ადამიანის ღირსების უარყოფას, მისი პიროვნების დამცირებას, ადამიანის ჩამოყვანას უგონო პირუტყვთა მდგომარეობამდის, რომელნიც სცხოვრობენ მხოლოდ აწინდელი წუთით და სრულებითაც თავს არ იწუხებენ თავიანთ არსებობის აზრისა და მიზნის განხილვით. თუმცა კი,—არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც პირუტყვებივით სრულიად გულ გრილად უყურებენ მას, რაც ქვეყნად ხდება, და არაფრით არ უნდათ თავი შეიწუხონ, უცქერიან ცხოვრებას მხოლოდ უგლიმი გრძნობის თვალთსაზრისით, სცდილობენ გამორჩენ მას რაც-კი შეიძლება ბლომა სიამოვნებას, ანგარიშს უწევენ მხოლოდ დროის აწინდელ წუთს. ასეთი პირები მოიპოვებოდა ხალხში ძველად, ჯერ კიდევ ძველ ალთქმაში; იყვნენ მაშინაც ისეთები, რომლებიც თავიანთ თავს ეუბნებოდნენ: ,,ხანმოკლეა და მწუხარებით აღსავსე ცხოვრება ჩვენი და არა აქვს კაცს ხსნა სიკვდილისაგან. შემთხვევით ვართ ჩვენ დაბადებულნი და შემდეგ ვიქნებით, ვითარცა არა მყოფი... და გაივლის ცხოვრება ჩვენი, ვითარცა კვალი ღრუბლისა და გაიფანტება, როგორც ნისლი.. მოვედით და დავტკბეთ ამა ქვეყნის კეთილითა... ვმძლავრობდეთ ,,ლახაკსა, მართალსა, ნუ

შევიბრალებთ ქვრივსა და ნუ შევირცხვნით მოხუცებულისა-მხცოვანისა. ძალა ჩვენი იყვეს სჯული სიმართლისა, რადგანაც უძლურება ურგებელია''..(სიბრძნე სოლომონისა, 2,1-11). თუ ჩვენ გიბლიის დროიდგან გადმოვალთ აწინდელ დროში, ვნახავთ, რომ ახლა ხალხში მომეტებულ ნაწილად გავრცელებულია ასეთივე ტლანქი-ცხოველური შეხედულობა ცხოვრებაზე. გარდამეტებული არ იქნება იმის თქმა, რომ ეხლანდელ დროში თვით ურცხვი, თვით თავხედი მატერიალიზმი არის მიღებული ხალხის ცხოვრების არსებობითი დასაწყისად.

„მოიბოვეთ მხოლოდ მატერიალური სიკეთენი, და ცხოვრება თქვენი გახდება სუმბუქად და სასიამოვნოდ",—აი დროშა და დევიზი თანამედროვე ხალხისა, და განსაკუთრებით კი, ინტელიგენტობის უმრავლესობისა. ხოლო პრინციპები მატერიალიზმისა ასეთია: არაფერი არ არსებობს გარდა მატერიისა. არ არის სული, არ არის საიქიო ცხოვრება, არ არის ღმერთი. მაშასადამე, იმათებურად, არ არის სარწმუნოება, არ არის ზნეობა, არ არის სიკვდილის შემდეგ სამართალი ბოროტი და კეთილი საქმეების გასარჩევად. მიზანი ცხოვრებისა, იმათებურად, არის შეძენა რაც შეიძლება ბევრი ქვეყნიური სიკეთისა და სიამოვნებისა. ესეც-კი უნდა ითქვას, თანამედროვე ხალხის თაობა, მაინცა და მაინც, თავს არ იწუხებს მეცნიერულ-ფილოსოფიურ მატერიალიზმის შესწავლით. მომეტებული ნაწილი ჩვენი დროის ხალხისა ხელმძღვანელობს, ეგრედ წოდებულ, პრაქტიკულ მატერიალიზმით, რომელსაც ბევრი მისდევს უფრო ხშირად შეუგნებლად, და მხოლოდ შემდეგში, როდესაც ეს მატერიალისტური პრაკტიციზმი სრულიად ამონებს მათ, მაშინ ისინი სცდილობენ გაამართლონ იგი გონების ასეთი, თუ ისეთი, საბუთებით; გონება-კი ყოველთვის მზათაა სამსახური გაუწიოს კაცის გალაღებულ გემოვნებას, მის გრძნობას, მის განწყობილებას; ასე რომ, თუ იგი შეპყრობილია მატერიალისტური განწყობილებით, ამ განწყობილების თანახმად ფიქრობს და საზრავს იგი. ის ხომ ხდება, ამბობს ერთი სახელგანთქმული მოაზრე რუსი, რომ ხალხი ჰფიქრობს იმაზე, რაც იმას გულით უნდა, და ყველაფერს იდგენს გონებაში ისე, როგორც თითონ სურს; აზრს ამოძრავებს თავის შეხედულობის თანახმად". (ბსიხოლ. ვლადისლავლევისა—გვერდი 396). ეგრევე უნდა ითქვას იმათზედაც, რომლებიც მატერიალიზმით არიან შეპყრობილნი; იმათ თავიანთი აზრი ამ მიმართულებაზე უნდათ ამოქმედონ.

(შემდეგი იქნება).

მღ. ი. ლუკიანოვი.

ენის გაჩენა.

ხშირად მაგალითია, რომ ფრინველები ისე ნამდვილათ წარმოსთქმენ ხოლმე სიტყვას ხან მთელ წინადადებასაც, რომ გარეგნულად ვერც კი გაარჩევთ კაცის გამოთქმისაგან. ამ მხრით უფრო შესანიშნავია თუთიყუშის და შროშანის მაგალითები, მაგრამ ფრინველების ლაპარაკი (говоръ), როგორც ნამდვილად ამბობს იეგერი,[1]) შესამჩნევად განსხვავდება კაცის ენისაგან არა გარეგნულად ესე იგი გამოთქმის მხრით, არამედ შინაგანი მხრით ანუ მიზ, რომ ფრინველი ითვისებს სიტყვას, როგორც ხმას, მნიშვნელობა კი არ ესმის. ასე რომ სიტყვას ფრინველი ვერ აკავშირებს სავანთან, რომელსაც სიტყვა აღნიშნავს. ასოციაცია ხმებსა და საგანს შორის შეუძლებელია ფრინველებისათვის; თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ისეთი იშვიათი შემთხვევა, როცა ფრინველი ხმებით ხატავს თვის მდგომარეობას ერთი თუთიყუში ფანჯარიდგან უეცრად გადავარდა და თოვლში ჩაეცა; ამ დროს თუთიყუშმა დაიძახა „Ach, Herr jesus! (о, Господи Іисусе!) თურმე ამ სიტყვებს ხშირად ამბობდა მოსამსახურე ქალი, როცა მას რამე უცებ შეაშინებდა. ეს სიტყვები მეხანიკურად

[1]) М. Перти. Психическая жизнь животныхъ вып. I гл. 92.

(მიბაძვით) შეითვისა თუთიყუშმაც; ამასთანავე უნდა შევნიშნოთ რომ შეშინებული მდგომარეობა მოსამსახურის თუთიყუშზედაც ასეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, ამიტომ როცა თვითონ თუთიყუში შეშინდა ის სიტყვებიც გაიმეორა, რომელსაც შეშინების დროს ისმენდა და მიბაძვით ამბობდა.[1]) თითონ შინაარსი მოყვანილი სიტყვების ცხადად გვიმტკიცებს, რომ მათი მნიშვნელობა თუთიყუშს არ ესმოდა და ის იყო მხოლოდ მეხანიკური გამეორება უაზროდ შეთვისებული ხმებისა, მაშ, რაშია უმთავრესი განსხვავება კაცისა და ცხოველების ენათა შორის? უმთავრესი განსხვავება ის არის, რომ კაცს ენა ასოთ დასაყოფი (членораздѣльная рѣчь) ესე იგი ყოველი სიტყვა კაცის ენისა იყოფება მარცვლებათ ნაწილებად და ამასთანავე აღნიშნავს რომელიმე საგანს ანუ განყენებულ აზრს, ესე იგი ყოველი სიტყვა კაცის შეკავშირებულია შინაარსთან. ცხოველების ხმები კი შორისდებულია (междометіе) და საგანს არ აღნიშნავს. ცხოველები ხმებით გამოხატვენ თვის გრძნობას: სიამოვნებას ანუ უსიამოვნებას (ძაღლი წუწკუნებს სიცივისა, შიმშილისა და შიშის გამო), სიხარულს (ძაღლი სხვადასხვა ხმებს იღებს, როცა ატყობს, რომ პატრონი სანადიროდ ემზადება), სასქესო მიზიდულებას და თავისს დასაცავ გრძნობას (სულ სხვაა მაგ. ხმები შინაური პირუტყვისა, როცა მას ნადირი დაესხმის თავს). აზრს კი ცხოველები არასოდეს არა ნიშკნენ ხმებით. მხოლოდ კაცსა აქვს ნიჭი შეაკავშიროს ხმა საგანთან, გამოხატოს ხმებით (სიტყვით) აზრი და განვითარების შემდეგ ცნებები, ამის გამო კაცის ენა იღებს შინაარსს.[2]) როგორც ზემოთ ვსთქვით ცხოველებს აქვს ენა გრძნობითი (языкъ эмоціональный). იმ ენით ცხოველები გამოხატავენ ხოლმე გრძნობას ანუ თავისს მდგომარეობას მაგალითად, ძაღლი ყეფს, როცა გული მოდის; ყეფა არის ნიშანი გულის მოსვლისა ასე ესმის ეს სხვა ცხოველებსაც.[3]) კაცს კი აქვს ენა გონებითი ანუ გონიერი (раціональный); კაცის სიტყვა აღნიშნავს გარდა გრძნობისა (მაგალითად ოხვრა) წარმოდგენას, საგანზე ანუ ცნებას (понятія); გონიერი ენა არა აქვს ცხოველებს ეგრეთვე, როგორც არა აქვსთ ცნებაები „გონიერი მიტომ ჰქვია კაცის ენასო ამბობენ ტენი და მიულლერი, რომ გონება არის ნიჭი, რომლის შემწეობითაც კაცი არდგენს ცნებებს და ითვისებსო.“ ამ გვარ დასკვნაზე მიიყვანა მეცნიერულმა გამოკვლევამ ი. ტენი და მ. მიულლერი. პირველი იკვლევდა კითხვას ფსიხოლოგიურ ნიადაგზე, მეორე განსაკუთრებით ფილოლოგიურ ნიადაგზე აყენებდა კითხვას; ორთავე მეცნიერის აზრებ შორის სრული თანხმობაა, რადგან შედეგი ერთი და იგივე გამოუვიდა ორივეს, თუმცა კითხვას სხვა და სხვა მხრით იკვლევდენ.[1])

ჩვენ დავასახელეთ ის პირობები, რომელთაც შეეძლოთ ხელი მოეწყოთ კაცისთვის ენის გასაჩენად, ახლა უნდა ვაჩვენოთ რა იყო მიზეზი, რომელმაც გამოიწვია კაცი სამოქმედოდ და აიძულა ის ესარგებლნა ნაჩვენები პირობებით.

ცხადია რომ კაცის ცხოვრება დამოკიდებულია, როგორც გარეგნულ ფიზიკურ ბუნებაზე, ისე საზოგადოებაზე. ფიზიოლოგიურად ფსიხიური მოთხოვნილება აიძულებს კაცს, რომ მან იქონიოს კავშირი ანუ დამოკიდებულება ერთი მხრით ბუნებასთან და მეორე მრით მისდა მზგავს ქმნილებასთან. განცალკევებული ცხოვრება კაცის წარმოუდგენელია. ისტორიის დასაწყისშიდაც (უკეთ რომ ვსთქვათქვათ კაცის ქვეყანაზე გაჩენის პირველ დროშივე) კაცი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ცალკენ ვერ იცოცხლებდა. არსებითი მოთხოვნილება თვისი ბუნებისა განსაკუთრებით სულიერი აუძულებდა კაცს მოეძებნოს საშუალება, რითაც შეძლებოდეს მას საკუთარი მდგომარეობის გამოხატვა და სხვისი მდგომარეობის გაგება ერთი სიტყვით ურთიერთ შორის კავშირის დაჭერა. ეს მოთხოვნილებებები პირველად ინსტიკტიურად მოქმედებდა

[1]) ibidem.
[2]) Липпертъ. Исторія культуры. გვ. 255.
[3]) И. Тэнъ. Объ умѣ и познаніи გვ. 522.

[1]) ibidem გვ. 507.

კაცის ბუნებაში, ვამბობთ ინსტიქტიურადთქო მისთვის, რომ პირველადვე ყოველი სულიერი მგომარეობა კაცისა უნებურათ იხატება სხვადასხვა მოძრაობაში; ყოველ გვარი მდგომარეობა ბავშის მისდა უნებურად მიისწრაფის გამოჩდეს გარედ სხვადასხვა სახით მაგ. მოძრაობაში, ხმის ამოღებაში და სხვა. ენის საჭიროება და დიდი მნიშვნელობა რასაკვირველია ენის გაჩენამდი მკაფიოდ არ ჰქონდა კაცს წარმოდგენილი, მაგრამ ბუნება მისდა შეუგნებლად აიძულებდა მას მიეღო შთაბეჭდილება საგნებისაგან, ესე იგი ფიზიკური გავლენა გარეგანი ბუნებისა გამოეცადა აგრეთვე გამოეხატა ესეთი მდგომარეობა გარეგნულად, ესე იგი თავიდგანვე დაეწყო კაცს დამოკიდებულობა ბუნებასთან და დაეჭირა ის ადგილი რომელიც ეკუთნოდა მას სასიცოცხლო ასპარეზზე. ასე რომ მოტივი ენის გაჩენისა იყო სხვადასხვა მოთხოვნილებები კაცისა, ხოლო მიზეზი (поводъ) ფიზიკური ბუნების გავლენა კაცზე: საგნებიდგან მიღებული შთაბეჭდილება და აქიდგან წარმომდგარი სხვადასხვა მდგომარეობა, რომელნიც უნდა გამოეხატა კაცს როგორც კი შეეძლო. ბოლოს რომ ერთი შთაბეჭდილება, ანუ წარმოდგენა ერთ საგანზე მეორესგან გაერჩია, ამისთვის საჭირო იყო სხვადასხვა ნიშნებით აღნიშვნა. ასეთ ნიშნებად კაცმა იხმარა ხმები, რომლის გამოთქმაც, როგორც ზევით ვსთქვით, ძნელი არ იყო მისთვის, შემდეგ მარტივი სიტყვები, ესე იგი ორი ან სამი ხმა შეერთებული და საგანთან შეკავშირებული.

ამ გვარად შეგვიძლია ვსთქვათ რომ ენის შექმნის ნიჭი ჰქონდა კაცს. კაცმა თვით მოქმედებით შექმნა ენა. ენა მზად არ მიუცია კაცისთვის არც ღმერთებს, როგორც ფიქრობდა ფილოსოფოსი პლატონი, არც ბუნებას. თვითონ კაცმა შექმნა ენა და თვითონვე გაავითარა, რაზეიც მას ხელს უწყობდა მისი სულიერი ბუნების პირობები და ფიზიოლოგიური აგებულება. ენა ბუნებრივი მოვლენაა. გონებრივი პროცესსი, რომლის შემწეობითაც გაჩდა ენა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და არც დასრულდება, ვინემ კაცობრიობის წინმსვლელობა არ მოისპობა, ესე იგი როცა გაჰქრება გონებრივი მოძრაობა კაცის, მაშინ ენაც მოკვდება, რადგანაც ენა არის მისი გონების გამომხატველი და მისი შემოქმედებითი ძალის ბეჭედი. „ენა მჭიდრეთ არის შეკავშირებული გონებასთან“.[1]) ენის გაჩენა არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, როგორც ერთხელ მომხდარი ფაქტი ისტორიაში და შემდეგ აღარ გამეორებული. გაჩდა ენა ძლიერ მარტივი და თანდათან ვითარდება, იზრდება და ფართოვდება. კაცს ეხლაც ნიჭი, რომ შეთხზას ახალი სიტყვები ესე იგი გამოეძებნოს სხვადასხვა ხმები თვისის აზრების გამოსახატავად, მხოლოდ თუ დღეს კაცი იშვიათად სარგებლობს ასეთი ნიჭით ეს მიტომ, როგორც ამბობს ტეილორი, რომ ყოველი ენა, რომელზედაც კი ლაპარაკობს ეხლანდელი კაცი, შეიცავს იმდენს სიტყვას, რომ კაცი ცოტათ თუ ბევრად უძრუნველ ყოფილია თვისი აზრების გამოსახატავად.[2])

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ ის ფსიხოლოგიური პირობები, რომელთაც შეუწყვეს ხელი ენის გაჩენას აგრეთვე გადაჭრით დავსახეთ ორ გვარი ენა: ენა გრძნობითი (языкъ эмоціональный) და ენა გონებითი (языкъ раціональный); პირველი საერთო გვაქ ჩვენ ცხოველებთან, ხოლო მეორე კი შეადგენს ადამიანის საკუთრებას. ენა გრძნობითი არ ვითარდება და არც იცვლება, როგორც იყო ისეთია დღესაც, ხოლო მეორე-ენა გონებითი ვითარდება, დღითი დღე იცვლება. გრძნობითი ენასა და გონებითი ენას შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. ეხლა ჩვენს მიზანს შეადგენს ავხსნათ თან და თანობითი განვითარება გონებითი ენისა, სახელდობრ აღვნიშნოთ, როგორი იყო პირველ ხანაში ადამიანის ენა (ენა გონებითი) და როგორ განვითარდა უხსოვარის დროიდან დღემდე.

---

[1]) Загорскій. «Основанія раціональной и субъективной психологіи» გვ. 26.

[2]) Тэйлоръ Антропологія გვ. 129.

ენა თვის განვითარებაში, ისე როგორც ყოველი მხარე ადამიანის ცხოვრებისა, ემორჩილებოდა თანდათანობის კანონს ანუ სხვანაირათ რომ ვსთქვათ შეუწყვეტლობის კანონს, ესე იგი ენა პირველათ იყო მარტივი, უბრალო, შემდეგ თანდათან განვითარდა, გაფართოვდა და გართულდა. პირველათ ენა აღნიშნავდა საგანს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ საგნის ერთ შესატყობ ნიშანს, იმ ნიშანს, რომელსაც უფრო გავლენა ჰქონდა ადამიანზე და ახდენდა იმაზე შთაბეჭდილებას.

შემდეგი იქნება.

ტ. ჯაფარიძე

ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მოგზაურობა გურიაში.

თითქმის ათი წელიწადია, რაც გურიას აღარ ღირსებია მღვდელმთავრის მიმოხილვა და დახედვა. ამ ხნის განმავლობაში ხშირად იცვლებოდნენ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსები, მერე დადგა ხალხის მოძრაობა, ხალხმა იწყო ყველა ღირებულობათა გადაფასება, აიმაღლა ხმა წინააღმდეგ სამღვდელოების უღირსთა წევრებისა, საერო პოლიტიკის გამეფებისა ეკლესიაში, ყბად აღებული დრამისა და ბოლოს ბევრგან გაისმა გაბედული ქადაგება ურწმუნოებისა. სწორეთ ამ დროს ესაჭიროებოდა ეკლესიას შეგნებული მცველი, მჭერმეტყველი ქომაგი და გაბედული დარაჯი მაგრამ, საუბედუროთ, სულიერმა მწყემსებმა ვერ გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, ვერ გაუმკლავდნენ ცხოვრების უკუღმართ პირობებს, ყველა საცალა მიიმალა, ყველა დადუმდა და უპატრონოთ დარჩომილი ქრისტიანი ერი ხელში ჩაუვარდა ურწმუნო და გაუნათლებელ პროპაგანდისტებს, უმწყემსოთ დარჩენილი სულიერი ცხვრები განაბნია და დაიტაცა მსუნაგმა და გაუმაძღარმა მგელმა. გაჭირვება გამოცდა არის ადამიანის ღირებულობისა და სწორეთ მოძრაობის დროს გამომზეადა ჩვენი სამღვდელოების გონებრივი არარაობა, ზნეობრივი სიდუხჭირე, სარწმუნოებრივი სისუსტე და უსუსურობა.

ბატონდებიან უღთოების მქადაგებლები, ცეცხლითა და მახვილით უსწორდებიან ყველას, ვინც ჰბედავს ეკლესიაში მისვლას და არ ივიწყებს სარწმუნოების მოთხოვნილებებს ძალადობით შევიწროვებული და შეშინებული სოფლის მცხოვრები, ხელს იღებს წირვა-ლოცვაზე, ეთხოვება წმ. ზიარების მიღებას, სტოვებს მარხვას და გარეგნულათ სწყვეტს დამოკიდებულობას ქრისტიანობასთან.

ამ ბოლო დროს, ყოვლად სამღვდელოს მეტათ დამაფიქრებელი ცნობები მოსდიოდა გურიიდან ქრისტიანობის შესახებ; თვით სამღვდელო პირები ამტკიცებდნენ, რომ გურიაში ქრისტიანობა მოისპო, გაქრა დადაიკარგაო. ყველა ეს დიდათ აწუხებდა მის მეუფებას, გულის დარდათ გადაექცა გურიაში ქრისტიანობის დაცვა და ბოლოს მტკიცეთ გადაწყვიტა: „არა, სხვის ნათქვამს არ დავიჯერებ, მე თითონ წავალ გურიაში, ფეხით შემოვივლი თვითეულ სოფელს, ქალსა და კაცს გამოველაპარაკები, რამდენთაც ღმერთი შემაძლებინებს, ყველას განუმარტებ ქრისტეს ღვთაებრივ მოძღვრებას და ცრემლთა ფრქვევით შევეხვეწები ყველას, რომ არ დაიღუპონ თავი, არ ჩაცვივდნენ მიუტევებელ ცოდვაში არ უღალატონ მამა-პაპეულ სარწმუნოებას და კვალად დაუბრუნდნენ ქრისტეს ეკლესიას.“ ასეთი ფიქრებით იყო მოცული მისი მეუფება, რომ მარტის 8, შუადღისას, გაემართა ფოთიდან სოფ. სუფსას ეტლით.

სულ საათ ნახევარია სასიარულო ფოთიდან სუფსამდე და გწყინს მანძილის სიმცირე, რადგანაც ვერ გამაძღარხარ ბუნების იმ აუწერელი მშვენებით, რომელიც თვალ წინ გეშლება ამ მოგზაურობაში: მარჯვნივ ცხრა თვალ მზეზე ათას ფრათ მოელვარე ზღვა, მარცხნივ მდიდარი მცენარეულობით დაბურული სუფრასავით სწორი მინდორი, წინ თეთრი თოვლით დაფენილი აჭარის საოცნებო მთები! უყურებ ამ მშვენებას და სიზმარში გგონია შენი თა-

ვი! აი გავიარეთ ძვირფასი და ხელოვნების მხრივ. მეტად შესანიშნავი მალთაყვის *) ხიდი სახელი და დიდება ბ. ნ. ნიკოლაძეს, რომ მისი ზეთაურობით გაკეთებულა ეს ხიდი, ურომლისოდაც გურია მოწყვეტილი ყოფილა ფოთზე და ოზურგეთიდან ფოთში ჩამომსვლელი მანამდე მიდიოდა სამტრედიაში და მერე იქიდან რკინის გზით ჩამოდიოდა ფოთში, რასაც მიჰქონდა მეტად დიდი დრო, დიდი შრომა, დიდი ხარჯი. ეხლა-კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სუფსიდან ფოთამდე საათ ნახევრის სამოგზაურო და ფაეტონი, თუ ოთხი კაცი ჩაჯდა, ახდევინებს თითო მგზავრს 75კ.

მალთაყვის ხიდს იქით ყოვლად სამღვდელოს შეეგებნენ ოზურგეთის მაზრის უმფროსის თანაშემწე და ადგილობრივი ბოქაული.

გამოჩნდა სოფ. სუფსაც. ეკლესია და გალავანი სამსეა ფერად ტანისამოსში გამოწყობილი ხალხით. შემდეგ ჩვეულობრივი შესახვედრავი პარაკლისისა, რომელის დროსაც გალობდნენ სლავიანურათ ადგილობრივი სამინისტრო შკოლის მოწაფეები, ეპისკოპოსი სამღვდელთმთავრო მანტიით გამობძანდა ამბიონზე და ცნობის მოყვარეობით აღვსილ ხალხს მიმართა ლმობიერი მოძღვრებით, რომლის თემად აიღო პავლე მოციქულის შემდეგი სიტყვები, „მიკვირს, რამეთუ ესრეთ ადრე გარდაიქცევით მისგან, რომელმან იგი გიჩინა თქვენ მადლითა ქრისტესითა, სხვად სახარებად, რომელ სხვა არა არს, გარნა არიან ვინმე, აღგძრამენ თქვენ და ჰნებავს გარდაქცევად სახარება იგი ქრისტესი“.(გალ. 1, 6-7). მისმა მეუფებამ მდაბიოდ, მოკლედ და ცხოველად დაუხატა მსმენელებს გარემოება, რომელმაც ათქმევინა დიდებულ მოციქულის მოყვანილი სიტყვები და მერე მოხდენილად შეადარა მსმენელები პავლე მოციქულის დროის გალატელ ქრისტიანებს. თქვენშიაც გამოჩნდნენ ამ ბოლო დროს პირები, ბრძანა ეპისკოპოსმა. რომლებსაც სურთ თქვენი გაუსჯულოება, რომლებიც ცდილობენ, რომ თქვენ გადაუდგეთ ქრისტიანობას, რომლებიც გაგონებენ, რომ ქრისტე უბრალო კაცი იყო, მისი მოძღვრება მოძველდა, ქრისტიანობა მავნე და მაზარალებელია ჩვენთვისო და სხვა. სამწუხაროდ თქვენ თითქოს მოგეწონათ ეს ქადაგება, თითქოს დიდიხნიდგან გინდოდათ ასეთი რამეს გაგონება, ხალისით დაემოწაფეთ ახალ ქადაგებას და უმაგალითო სიადვილით ზურგი აქციეთ იმ ეკლესიას, რომელიც დაარსა ანდრია მოციქულმა, რომელიც შემდეგ წმ. ნინომ გადააქცია მთელი საქართველოს ცხოვრების დედა ძარღვად, რომელმაც თქვენს სამშობლოში აღმართა ისეთი გასაოცარი ძეგლები, როგორიც არიან შემოქმედი, ჯუმათი, ნინო წმინდა, აპის ტაძარი და სხვები მრავალნი.

რატომ დაუტოვეთ თქვენ ასე ადვილად მამა-პაპეული სარწმუნოება? იმიტომ, რომ არ იცნობთ ახლო ამ სარწმუნოებას, არა გაქვთ შეგნება ქრისტეს სახარებისა. ევროპა, საიდამაც ჩვენ განათლებას ვსესხულობთ, ქრისტეს მოძღვრების მიმდევარია. როგორც ჩვენში წარმოუდგენელია საცხოვრებელი სახლი უკარო და უფანჯრებო, ისე ევროპაში შეუძლებელია, რომ ყოველ ოჯახს არა ჰქონდეს ძველი და ახალი აღთქმის საღრმთო წიგნები. იქ, განათლებულ ქვეყანაში, თვითეული წევრი ოჯახისა კითხულობს, სწავლობს და ითვისებს ქრისტეს მოძღვრებას და მოციქულების ქადაგებას და უბედურად, უვიცაო და ჩამორჩომილად მიაჩნიათ ის, ვინც ზედმიწევნით არ იცის თავისი სარწმუნოების მოძღვრება. იქ ყველამ იცის სახარება და აკი ამიტომ დაწინაურებულებიც არიან! ჩვენში? არამც თუ უბრალო კაცის ოჯახში, ხშირად ღვდლის სახლშიაც ვერ იპოვნით სახარებას, ჩვენში ჩვეულებად არაა მიღებული ოჯახში საღრმთო წერილის კითხვა და ამიტომ ან სულ არა ვიცით რა სახარებიდან, ან თუ ვიცით რამე, ვიცით ნაწყვეტად, გაგონებით და ზღაპრულად. უცოდინარობის გამო არ გაგვეგება ღირსება ქრისტიანობისა და თუ უბრალო სოფლის შკოლაში ნასწავლმა ახალგაზდამ

*) ამბობენ ეს ლათინური „მულტა აქვა“ არისო და ქართულად ბევრ წყალს ნიშნავსო.

გვითხრა: ქრისტე უბრალო მომაკვდავი კაცი იყო, ქრისტიანობა მოძველდა, სახარება ღვდლების შედგენილიაო, სინამდვილეთ მივიღებთ, მაშინვე დავიჯერებთ და ცხვრებივით უკან გავყვებით ამისთანა ახალგაზრდას და ის კი აღარ ვიცით, რომ კაცობრიობის უკეთესი და უგანათლებულესი ნაწილი ქედს იხრის ქრისტეს ღვთაებრიობის წინაშე და მხოლოდ სახარებაზე აფუძნებს თავის ბედნიერებას. ჩვეიში რომ გაბედული მუშა გამოვიდეს და თქვას:წირვა-ლოცვა ტყუილია და ეკლესიაში სიარული უბრალო დროს დაკარგვაა, ყველანი დავუჯერებთ მას და ფეხს აღარ შევდგამთ ეკლესიაში, თუმც ის კი აღარ გაგვიგონია, რომ მსოფლიო გენიოსები და ბრძენი კაცები, როგორც მაგალითად დიდებული ინგლისელი გლადსტონი, ყოველთვის დაიარებოდნენ ეკლესიაში, ეხმარებოდნენ სამღვდელო პირებს საღმრთო წიგნების კითხვით და დიდი ხნობით ლოცულობდნენ. ჩვენში ვიღაც უდებმა და ზარმაცმა რომ წამოიყვიროს, კვირაც ისეთივი დღეაო, როგორც ორშაბათი და ამიტომ კვირას უნდა ვიმუშაოთო, მაშინვე შევაბამთ გუთნებს და ურმებს და ის კი აღარ ვიცით, როგორ მტკიცედ და სასტიკად უქმობენ კვირას განათლებული ევროპიელები. ერთი სიტყვით, სუსტი ლერწამივით საიდანაც ქარი დაგვიბერავს, იქით გადავიხრებით და ცარიელი ჭურებივით, ვინც რას ჩაგვძახებს, იმას ამოვიძახებთ. არა გვაქვს საკუთარი სულიერი ძალა, არა გვაქვს ცოდნა, შეგნება ქრისტიანული მოძღვრებისა და ამიტომ ახლად ფეხადგმული ბავშვივით მუდამ ვირყევით, ვტორტმანობთ და სამარცხვინოდ ვბარბაცობთ ცხოვრებაში.

არა, საყვარელო სულიერო შვილებო, საშიშია, დიდად საშიშია ასეთი სიმჩატე და დაუფიქრებლობა სარწმუნოების საქმეში. იცოდეთ, რომ ქრისტიანობის შეგნება უმაღლესი განათლებაა, ქრისტიანულად ცხოვრება ბედნიერების დამკვიდრებაა ადამიანსა შორის და ქრისტიანობის ერთგულება—დაცვა ერისა, საზოგადოებისა და ოჯახისა. ქრისტიანობის დაკარგვა ჩვენთვის ყველაფრის დაკარგვაა, რაშიაც ცხადად გვარწმუნებს უტყუარი მაგალითი ჩვენი ბეჩავი გამაჰმადიანებული ძმებისა. ნუ მიიკარებთ ურწმუნოებას, განვითარდით, შეიგნეთ, შეისწავლეთ ქრისტიანობა და ამითი დაუახლოვდებით განათლებული ერების კეთილდღეობას, ამითი დაიახლოვებთ ქრისტე ღმერთს, რომელიც არის გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება.

სიტყვის შემდეგ დიდიდამ პატარამდე ყველანი იმთხვია ხელზედ და ეკლესიაშ ვე გამოსცადა მოწაფეები სმღთო სჯულში ბავშვებმა ცოდნა გამოიჩინეს.

სუფსის ეკლესია ხისაა,ტანით მომცროა და უბრალო გემოვნების გეგმაზეა აშენებული. ადგილობრივი ღვდლის მეცადინეობით ეკლესია მორთულია შესაფერი კანკელით ხატებით,და ბარძიმ ფეშხუმით, სახარება და ჯვრები ვერცხლისაა, ტრაპეზი და სამკვეთლო გაწყობილია სუფთა შესამოსით, მხოლოდ ეკლესიის გუმბათი და კედლები მოითხოვენ შეკეთებას და ხალხმაც აღუთქვა ეპისკოპოსს შენიშნულ ნაკლულევანებათა შეკეთება. ყოვლად სამღვდელომ ყურადღება მიაქცია, რომ ეკლესიის კარიდგან რამდენიმე ნაბიჯზე სამიკიტნო დუქანია გახსნილი და უბძანა ბ. მაზრის უფროსის თანაშემწეს ამ დუქნის დაკეტვა.

შემდეგი იქნება.

ქალაქ ქუთაისის გამგეების საყურადღებოთ.

გაზაფხული უკვე თავდება და აღთქმული წყლის არხები არსადა სჩანს. ამბობდენ, ამ გაზაფხულზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, როგორც ხედავთ, მბობა არ გამართლდა. კიდევ კვლავინდურ მდგომარეობაში ვრჩებით და წყალი კი თანდათან გვიფუჭდება, რადგან ქალაქი, საათობით თუ არა, წლობით მაინც იზრდება. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ქუთაი-

სიდგან ოთხ ვერსის მანძილზე, რიონის პირათ ჯარის საზაფხულო ბანაკია. რაც რამ აქ უწმინდურება იბადება, ყველა ჩვენ სასმელ-საჭმელში ჩადის. ამბობენ, საქმე სამინისტროშია გაგზავნილი განსახილველათ და ჯერ არ მოგვსვლიაო და ამით აშოშმანებენ საზოგადოებას, მაგრამ რა დრომდის? ჩვენ კარგად ვიცით, როგორი სიზანტით კეთდება საქმე სამინისტროში, თუ იქვე არ ყავს მშველელი და დამჩქარებელი. ეს კარგათ იცის ქალაქის თავმაც და მთელმა გამგეობამაც, მაგრამ არავინ ყურს არ აპანტურებს. ნ. ნიკოლაძეს რომ ასეთი საქმე დაეწყო, ამ ხნის განმავლობაში სამ-ოთხ ქალაქს გაუკეთებდა არხებს და აქ ერთიც ვერ მოგვიხერხებია. რა მიზეზია? ალბათ „ციხეს კარი უნდა და კარს კაცი“.

ან კი რათ ეჭირვებათ ქალაქის მამებს შენი არხები? გავა თუ არა მაისი, ჯიბეს დაისქელებენ და გავლენ საგარაკოთ ზოგი ბორჯომის ხეობას, ზოგი აბასთუმანს, ზოგიც კისლოვოდსკს და სხვა ბუნებით შემკობილ აგარაკებში, სადაც სჩქეფს ანკარა, ცივი და გამაცოცხლებელი წყაროები. აქ ვიღას გაახსენდება შენი ტალახიანი რიონი და დაფინთული ქუთაისი?

მაგრამ ღმერთსაც შეხედეთ, ბატონებო წარმოიდგინეთ, რომ ყველა თქვენისანა ჯიბესასქელები არ არიან და სიღარიბის გამო რიონის სადგურს ვერ გასცილებიან; მათაც უნდათ ორი დღის გაპირვებული სიცოცხლე არ მოიშხამონ, როცა ეს შესაძლებელია, მათაც უნდათ სუფთა ჰაერი, სუფთა წყალი. მაგრამ თქვენ არ გესმით ეს! მაშინ თქვენი მოვალეობა მაინც გაიხსენეთ, გაიხსენეთ, რომ მოქალაქენი ჯამაგირს გაძლევენ, მიტომ კი არა, მხართეძოზე წამოწვეთ, ბანქოში წააგოთ, არამედ—იმოქმედოთ, იზრუნოთ ქალაქის კეთილ-დღეობისათვის; პატივით და დიდებით გაჯილდოებენ, მიტომ კი არა, ფეხქვეშ გათელოთ მათი პიროვნება, დაამციროთ მათი თავმოყვარეობა და ადამიანური გრძნობა, არამედ მოეხმაროთ, რამდენათაც შესაძლებელია, და დააყენოთ ადამიანურ ცხოვრების გზაზე. გაიხსენეთ, რომ ისინი გრძნობენ, რომ თქვენ უგანათლებულესნი და უნიჭიერესნი ბრძანდებით, რომ თქვენ შეგიძლიათ, თუ მოინდომებთ, საქმის გაკეთება, ამიტომ თითონ იტყვებიან და თქვენ ჯიბეს ოქროებით გივსებენ. ნუ თუ ეს გარემოება არ გავალებთ, რომ უშველოთ მათ, ვინც ასეთი ნდობით შეგაიარაღათ*?!

მაგრამ სიკეთისათვის სიკეთე ვის უქნია? ის კი არა, რიონის სადგურზე დაღამებიდგან გათენებამდი უნდა იცადო თბილისიდგან მოსულმა კაცმა, რომ ქუთაისში ჩასვლას ელირსო. ნუ თუ ესეც ძნელი საქმეა ჩვენი ქალაქის თავებისთვის? ამას ხომ სამინისტრო არ ეჭირვება? ქუთაისსა და რიონს შუა საკუთარი მატარებელი მუშაობს და რა დაშავდება ერთჯერ ზედმეტი გზა გააკეთოს, რომ მგზავრები თავის დროზე მიყვან—მოიყვანოს? ეს საზოგადო მომოსვლის წესრიგს არ შესცვლის და ამიტომ ადვილი გასასწორებელი საქმეა, თუ ჩვენი ბატონები შეიდებენ თავს....როდის ექნება დასასრული ამ უთაობას და უკაკობას!?.....

ქუთაათელი.

სად არის ბერობა?

ვინც არაფერს აკეთებს, არსებობის უფლებაც არა აქვს. ეს ქვეყანა ყანაა, ან, ქრისტეს იგავით რომ ვსთქვათ, ვენახი და ჩვენ ყველანი მუშაკნი, ზარმაცი და მით უფრო სრულიად არაფრის მაკეთებელი კაცი არ მოითმინება, როგორც მამადი ფუტკრები სკაში. ბ. სასულიერო ბრძანებს, მონასტრებს არაფერი გაუკეთებიათო. სავალალოც ის არის, რომ არაფერი გაუკეთებიათ და არც არაფრის გაკეთებას აპირებენ. სამწუხაროც ის არის, რომ ახლანდელი ბერობა არც თავს არგია და არც სხვას. დარიის მონასტერი, რა თქმა უნდა, გამონაკლისს არ შეადგენს სხვა მონასტრებისაგან, მაგრამ სხვა საერთო ნაკლთან

საკუთარი დიდი ნაკლიცა აქვს, სახელდობრ თვისი ადგილ—მდებარეობა, სადაც ყოველი მცირე შეცთომაც კი არ დარჩება შეუნიშნავი გარნშე პირთაგან, ხოლო ეს დიდ საცთურებას წარმოადგენს. ერთი სულ მცირე შეცთომა საკმარისია განუმტკიცებელ მორწმუნისათვის, რომ თლათ უარყოს მთელი ქრისტიანობა. ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ვითომ დარიის მონასტერი ცუდ მაგალითს აძლევდეს გარეშემორტყმულ ხალხს, ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველ უმნიშვნელო შეცთომას აქ შეუძლია განსაცდელში ჩააგდოს მცირედმორწმუნე და დაუკარგოს საზოგადოდ მონასტერს თვისი მიმზიდველობა. ეხლა საზოგადოთ არ სxიან ბერობაზე. საკმარისია ერთმა ბერმა შესცოდოს, რომ მთელი მონასტრობა ღა ბერობა გაილანძღოს და ფასი დაჰკარგოს მორწმუნის თვალში. სხვა მონასტრებს, რომ არაფერი გაუკეთებიათ ამ განვლილ საუკუნეში, ეს კიდევ არ ამართლებს დარიის მონასტრის უმნიშვნელო არსებობას. თუ ეს მონასტერი რაიმე საჭიროებამ გამოიწვია, კიდეც უნდა მოქმედებდეს ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ და თუ არა, რა არის მიზანი მისი არსებობისა? ნუ თუ მხოლოდ ის, რომ ორიოდე შრომის მოძულე (რომ მეტი არა ვთქვათ) პირმა თავი შეაფაროს? მაგრამ ეს ხომ არ შეშვენის მონასტრის მაღალ დანიშნულებას. გარნა, მიუხედავად ამისა. ბევრისაგან გვსმენია ასეთი საუბარი: „ბერათ მიტომ წავედი, მოსვენებული და უზრუნველი ცხოვრება მინდოდაო, თორემ სამუშევარი შინაც ბევრი დავტოვეო". ასე მოაზრე ბერობა დიდ ნუგეშს არ წარმოადგენს სამშობლოისა და სარწმუნოებისათვის, რომელიც (სარწმუნოება) პატიოსან შრომას სათნოებათ აღიარებს და გვიბრძანებს ექვსი დღის მუშაობას კვირაში.

ჩვენ არ გვინდა დარიის მონასტრის დახურვა. ჩვენ გვინდა იარსებოს და რამე აკეთოს, რამე სარგებლობა მოუტანოს ზნეობრივი ან გონებრივი ერს. თუ ასე არ იქნა და რა აზრი აქვს, მიბრძანეთ, უსარგებლო და უმიზნო არსებობას?!

ხელი.

უცნაური ზარის ზმები:

არაჩვეულებრივ შემთხვევას მოგვითხრობს საიდუმლოების მხარიდგან საზოგადოებაში გამოსული მანდილოსანი, ექიმის ქვრივი, დედაკაცი სრული ინტელიგენტი და განვითარებული, ნადეჟდა პავლეს ასული ა—ვა. შარშანწინ შემოდგომაზე დაღუპა ნადირობის დროს პეტერბურგის ახლო ახალგაზდა პორუჩიკი გიორგი მ—ი.

ეს აფიცერი, იაპონიის ომის გმირი, გულადი და ქველი, მონაწილეობას ღებულობდა ჩხუბში ვაფანგოუდგან დაწყებული მუკდენამდი და თექვსმეტxერ იქმნა გაკაწრული.

უკანასკნელ ხანებში იგი ცხოვრობდა და მსახურებდა ფინლიანდიაში. როცა სამსახურის გამო პეტერბურგში ჩამოვიდოდა მთელ თავისუფალ დროს ა—ვის ოxახში ატარებდა.

აქ ის თავისიანად ითვლებოდა და ყველას ძალიან უყვარდა. ერთხელ პორუჩიკი მოვიდა ა—ვისას, სადაც ამ დროს ელექტრონის ზარები არ მოქმედებდენ.

მე გ'გიმართავთ ზარებს და დაიხსომეთ, რომ იგინი დარეკავენ ჩემ სიკვდილის დღესო, სთქვა აფიცერმა.

დედამაც და ქალიშვილმაც მხოლოთ გაიცინეს პორუჩიკის სიტყვებზე. ხოლო მეხანიკი შეუდგა ზარებისა და მართულების სწორებას. ამის შემდეგ გავიდა რამოდენიმე დღე. შემოდის ა—ვებისას პორუჩიკი დაღონებული და მოშლილი. ყველა კითხვებზე იგი მხოლოთ სიჩუმით და ხვნეშით იძლეოდა პასუხს, ბოლოს წამოდგა და გამოეთხოვა სიტყვებით: «მე ხვალ სანადიროთ მივდივარ.»

— ზარები მაინც არ მუშაობენ უთხრა მას ქ. ა—ვმა.

— დარეკენ ჩემი სიკვდილის დღეს,—არ წმუნებდა პორუჩიკი.

ყველამ გაიცინა. ამ დროს აქ იყვნენ კიდევ ქ. ქ. ცე—რა და ნ. პ. მეორე დღეს პორუჩიკი წავიდა.

საღამოს ა—ვის ქალი სოფიო სასადილო ოთახში იჯდა და წიგნს კითხულობდა. უეცრად მას შემოესმა კარების ჭრიჭინი. მან აიხედა მაღლა და..... გაშეშდა..... კარებში იდგა მარცხენა ხელზე დაყრდნობილი პორუჩიკი მ—ი, მარჯვენა ხელი რაღაც უცნაურად ჩამოჰკიდებოდა, ხოლო გვერდიდგან და მკერდიდგან სჩქეფდა სისხლი. ქალიშვილმა შეჰკივლა, ჩვენება გაჰქრა.

სწორეთ იმ საათში და იმ დღეს პორუჩიკს მძიმედ დეეჭრა თავი ნადირობის დროს მკერდის მარჯვენა მხარეზე, რის გამო მარჯვენა ხელი სრულიად დაჩეჩქვილი აღმოაჩნდა. დაჭრილი პეტერბურგის საავათმყოფოში გადიტანეს. გავიდა რამდენიმე ხანი. ავათმყოფის მდგომარეობა თანდათან ფუჭდებოდა; დადგა უკანისკნელი წამი და ავათმყოფი მიიცვალა. ამ დროს საავათმყოფოში დაესწრენ მხოლოდ დედა და ცოლი მისი.

ა—ვები ნაცნობებთან ერთად შინ იყვნენ და მუსაიფობდენ იმავ პარუჩიკ მ—ზე. უეცრათ მთელ სახლში გაისმა ელექტრონის ზარების რეკვა. ამ დროს შვეიცარმა მოახსენა ქალბატონს, რომ მას ტელეფონზე თხოულობენ საავათმყოფოდგან. ატყობინებდენ, პორუჩიკი ამ წამში გადაიცვალაო. სიკვდილის დრო და ზარების რეკვა ერთმანეთს ეთანხმებოდენ.

უფრო გასაკვირი ის არის, რომ შემდეგ ოსტატმა დაათვალიერა ზარები და ნახა, რომ სრულიად დაზიანებული არ ყოფილან.

პორუჩიკის დასაფლავების შემდეგ ზარები კარგად მუშაობდენ, მხოლოდ ორმოცის შესრულებამდის სამი დღის წინ კიდევ დადუმდენ, ხოლო მეორმოცე დღეს შემდეგ პორუჩიკის სიკვდილისა ხელახლა დარეკეს თავისთავად.

(„რებუსი") „პ. დ-ი."

ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიის მსახურთა შემოსავალი.

ძველ აღთქმაში კეთილმნებებელობით შეწირულება ტაძრის მოსამსახურეთა სასარგებლოთ არ იყო. მოსეს რჯულით მათი მისაცემი გადასახადის ზომა გადაწყვეტილი იყო. რიცხვთა წიგნში III,47-XVIII,15-16) გვითხულობთ, რომ ტაძრის მოსამსახურეთა სასარგებლოდ იხდიდენ ძველი ებრაელები უფროს ვაჟიშვილზე 5 სიკლს, ხოლო დედათა სქესი, თუ იქნებოდა 3 სიკლა ერთი სიკლი 4. 50 კ). ეს წესი აღასრულს ერმა იესომ. ყოვლად წმიდა ქალწული, თუმცა ძლიერ ღარიბი იყო, მაგრამ მაინც შესწირა 5 სიკლი ტაძარს. გარდა ამისა ხალხი ოჯახის ნაწარმოებიდგანაც აძლევდა ტაძრის მოსამსახურეთა. ამ ნაირათ ძველი აღთქმის მოსამსახურეთა სამღვდელოებას, როგორც ჩანს ზევით მოყვანილი საბუთებიდგან მცირე შემოსავალი არ ქონია.

ახალი ეკკლესის დაარსებისთანავე მოსეს

ახალი ეკკლესის დაარსებისთანავე მოსეს რჯულის მოთხოვნილებამ ეკკლესის მოსამსახურეთა გადასახადის შესახებ დაკარგა თავისი ძალა. ნაცვლად ამისა დაარსდა კეთილმნებებელობითი შეწირულება სამღვდელოებისა და ეკლესის სასარგებლოდ. თვით იესო ქრისტემ წარგზავნა რა თავის მოციქულები საქადაგებლად სხვადასხვა კუთხეებში. უთხრა მათ: „ნუ მოიღებთ ოქროსა, გინა ვერცხლისა, ნუცა რვალსა, სიტყვათა თქვენთათვის, ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა... რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა, (მათე. X 9—10). საქმე მოციქულთა წიგნიდან სჩანს რომ (IV 32 37) მოციქულები და თანამოაზრე ქრისტიანები შეადგენდნენ ერთ ოჯახს, ერთ მტკიცედ შეკავშირებულ საზოგადოებას, რომელთაც ქონდა „ერთი გული და ერთი სული", ისე, რომ ვისაც კი რაიმე ქონდა ყიდდა და მიქონდა „ფერხთა ქვეშე მოციქულთასა". მაგ. იოსია კვიპრელმა გაყიდა თავისი ყოველი ქონება და ფული მიუტანა მოციქულებს. ჭეშმარიტად ეს დრო იყო, დრო მაღლიანი ერთსულობისა და ერთგულობისა! მაგრამ ამ მაღლიან დროსაც იყვნენ კერძო საკუთრებისა და პატივის მოყვარეობით გატაცებულნი. ესენი იყვნენ

ანანია თავისი თანამოზიარეებითა და სხვა...

ჩვენ დროში კეთილმნებებლობითი შეწირულება-ტაძრის მოსამსახურეთა სასარგებლოთ აღარ სუფევს.

საქართველოში განა მოიძებნება ისეთი პირი, რომ ტაძრისა და მის მოსამსახურეთა სასარგებლოთ შესწიროს რამე?! ძველ დროში ქართველთა მეფეები თავად-აზნაურობა სიგულობით სწირავდენ ეკლესიას და სამღვდელოებას. აშენებდნენ, ამკობდნენ სხვადასხვა ძვირფასი თვალმარგალიტითა და ოქრო ვერცხლითა ხატებს. ეხლანდელი ქართველები კი ნაცვლად შეწირვისა, რაც მათ მამა პაპას შეუწირავს გამომწირველ წყევლა კრულვით ემუქრიან. უკანვე იბრუნებენ სხვადა' სხვა ხრიკებით, ფლანგვენ უაზრო ქეიფსა და დროების ტარებაში მათ ნაფასურთა. დღევანდელ ბრწყინვალე წოდებას ეკლესია და მისი მსახურნი აღარც კი ახსოვს. ან კი რა საჭიროა მისთვის ეკლესია, რომელსაც შიგ არ შედის და სამღვდელოებაც აღ.რ ახსოვს! აქ უნდა შევნიშნოთ ერთი არა სასურველი მოვლენა. ზოგიერთა თავადებს აქვსთ მამა პაპათაგან დატოვებული ძველი, გაცივებული სასახლის ეკლესიები, უყურადღებოთ მიტოვებულნი, მაგრამ დადგა დრო სამღვდელოების აღრჩევითი წესისა თუ არა, ვისაც კი ქონდა ეკლესია, მოითხოვა მღვდელი. ეს გაცივებული საყდრები ზოგიერთათვის, როგორც ამბობენ, შემოსავლის წყაროთ გადაიქცა. ზოგიერთა თავადები თვით უკიდურეს სიღარიბეს განიცდიან და მღვდელს რას მისცემენ! ამ მოქმედებაში იმალება სამღვდელოებისა და ეკლესიისათვის სასირცხო მიზანი.

დღეს საქართველოს სამღვდელოებას არჩენს მდაბიო ხალხი; თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება მას არაფერს უხდის. რაზედაც გულმწყრალია პირველი, ე. ი. მდაბიო ხალხი. მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდი თავადაზნაურობაც და სასულიერო უწყებაც აძლევდა სამღვდელოებას განსაძღრულ სარჩოს. მაგ. შორაპნის მაზრაში თვითეული მოსახლე ორ ფუთ სიმინდს ანუ პურს და სამ ფუთ ღვინოს უხდიდა სამღვდელოებას წელიწადში, ამასთან ზედმეტს მღვდელმოქმედებისათვის, მაგრამ 1904 წლიდგან აღარაფერს აღარ უხდის, რაზედაც გლეხკაცობა დრტვინავს. სენატის გადაწყვეტილებით 1874 წელში ყველა უნდა უხდიდეს სამღვდელოებას დრამის ფულს განურჩევლად წოდებისა. პავლე მოციქ.ლი პირდაპირ მოითხოვს ტაძრის მოსამსახურეთა შრომის დაჯილდოებას. (კორინ I, 7-11).

დასავლეთ საქართველოში ისეთი მცირე შემოსავალი აქვს სამღვდელოებას, რომ იგი იძულებულია გარეშე მუშაობით არჩინოს თავის თავი და ცოლშვილი. ჩვენ არ ვიცით მღვდელი, ანუ მედავითნე, რომ მარტო მრევლის შემოსავლით ცხოვრობდეს. ზოგიერთა ვაჟბატონები ხალხს ურჩევდნენ; რომ სამღვდელოებისათვის არაფერი მიეცათ, ვითომდა ხაზინა აძლევს ჯამაგირსო. დღეს სამღვდელოებას ხაზინა აძლევს 70 — 300 მანეთამდი და ეს განა ჯამაგირია!? ამდენს ხომ უბრალო შვეიცარი და სტოროჟიც იღებს...

ცხადია, რომ ძველი აღთქმის ეკკლესიის მოსამსახურეთ მეტი შემოსავალი ქონიათ დღევანდელ სამღვდელოებაზე.

ვისაც სურს რომ სამღვდელოებაში სარგებლობა დაინახოს, მას უნდა ქონდეს ბრწყინვალე თვალი სარწმუნოებისა. ვისაც ეს თვალი არა აქვს მას არ შეუძლია დაათვასოს სამღვდელოების სამსახური და სარგებლობა, ვინაიდგან სიტყვისამებრ მაცხოვრისა! „ხედვენ და არა ხედვენ, ესმისთ და არა ესმისთ, არცა გულის ხმა ყვიან. რამეთუ განერა გული ერისა ამის (მათ. XIII 13, 15).

დეკ. ი. წერეთელი.

რა გვემართება?

მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიამ თვითარსებობა დაკარგა, მასში სღვთისმეტყველო ლიტერატურა მოისპო. ასეც უნდა ყოფილიყო. რა ააყვავებდა ჩვენში ხსენებულ ხანაში სასულიერო მწერლობას?! მწყემსთა კათედრიდან შეწყდა დენა სწავლა-მოძღვრებისა. ეკლესიას სათავეში ჩაუდგა ენით, ხასიათით და მიმართულებით უცხო მწყემსი. მას

ხალხის არაფერი ესმოდა და ხალხს მისი. მისთვის სამწყსოს გული გაშლილი არ იყო, მას შეძლება არ ქონდა და ზოგს არც ადარდებდა მწყემსური მზრუნველობით ჩაეხედნა სამწყსოს სულში.

თვითარსებობა და თვითგანმგებლობა სადაც ისპობა იქ ეცემა თვით-მოქმედებაც. ასე დაემართა ქართველ მწყემსებსაც. მრავალ ხნის აპეკუნობამ, სხვის შეყურებამ ქართველი სამღვდელოება საკუთარ მოქმედებას გადააჩვია და სასყიდლით დადგინებულ მწყემსებს დაამსგავსა ცოცხალი მოქმედების ალაგი „კანცელარია—ქაღალდმა“ დაიპირა და ღვთის სასუფეველის საკითხი კუჭ—მენდლების საკითხმა. რა ხდებოდა სასწავლებლებში, ამ განათლების კერაში? უცხო ენაზე სწავლება ფრთას აკვეცდა იქ მშობლურ ნიადაგზე აზრის განვითარებას. ყმაწვილს პატარობითვე უჩლუნგებდენ გონებას უცხო ენაზე უაზრო სწავლით. როცა ბავშვი უცხო ენაზე სწავლობს, მისი ყურადღება ორად იყოფა. ის იმდენად აზრს არ აქცევს ყურადღებას, რავდენად სიტყვებისა და წინადადების სწორ წარმოთქმას. სწავლის სიძნელე, უხეირო სწავლებით გამოწვეული, ბავშს საგანზე გადააქვს, ეზარება იგი და იმას ფიქრობს, როგორმე მოიშოროს იგი და არა შეითვისოს. საშვალო სასულიერო სასწავლებელი, რომლის დანიშნულება მწყემსთა აღზრდაა დაბალ სასწავლებელს არ ჩამოუარდება ყმაწვილის დამახინჯებაში. მახინჯი სისტემა აღზრდისა უკლავს აქ კაცს ცოცხალ სარწმუნოებას და უშვებს სრულებით უვიცს სამშობლო ეკლესიის ენისა. რა ააყვავებდა ამ პირობებში ქართულ სასულიერო ლიტერატურას? სულიერი სიცოცხლე გაიყინა, მწყემსნი დადუმდენ, სამწყსო გაიბნა ლიტერატურა კი იქ ყვავის, სადაც მუშაობა დუღს, სიცოცხლე ჩქეფს.

სინოდმა ამას წინად სიქართველოს სამღვდელოებას უარი უთხრა სასწავლებლებში საღმრთო სჯულის ქართულ ენაზე სწავლის შესახებ ქართულ სახელმძღვანელოების უქონლობისაგამო. სახელმძღვანელოები სად გვქონებოდა, როცა სკოლა არ გვქონდა. არ იყო მოთხონილებაარ იყო სახელმძღვანელოებიც. მაგრამ რის მოთხოვნილებაც იყო, ის გვაქვს განა? განა არ იყო ჩვენში საჭიროება დალაგებული სწავლისა საღმრთო საგნებზე, როცა უარყოფითი მხარე ქადაგებას ეწეოდა სარწმუნოების წინააღმდეგ? სად იყვნენ და სად არიან მწყემსნი, როცა ფეხს ისე ვერ გადგამ, სარწმუნოების საწინააღმდეგო არ გითხრან, ან არ წაგიკითხონ, როცა საქართველოს ბაზარი გაივსო ამ შინაარსის წიგნაკებით და ამ დროს მორწმუნე ქართველი სანთლით ეძებს გამამხნევებელ მოძღვარს და მის სიტყვას?. ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა, მაგრამ გაფარისევლებულ გულზე ვერაფერმა იმოქმედა. სძინავთ ჩვენ სწავლით შეპურვილ მოძღვრებს და მათი სამწყსო კი იფანტება, იკარგება.

გულს წყლავს „იმერეთის სარწმუნოებრივ განმანათლებელ ძმობის“ განცხადება, გურია სამეგრელოს სამღვდელოებაზე. ერთიც მათგანი არ ჩაწერილა ძმობაში. იმ სამღვდელოებას, რომელიც აკაკის სახელობაზე სტიპენდიას აარსებს, არ ყოლია არც ერთი წევრი, რომელსაც მოესურვოს წმიდა გიორგის დროშის ქვეშ დადგომა სარწმუნოებრივ განათლების გასავრცელებლად. ნივთიერ სიღარიბის ბრალია ვითომ? არა. ეს ზარმაცული, ფარისევლური თავის მართლებაა. რამოდენიმე მანეთის თამბაქოს მოწევს ზოგი მათგანი და ათასნაირ საამქვეყნო სიამოვნებაზე არ დაიშურებს ფულის დახარჯვას.

კმარა ძილი, კმარა სხვისი და თავის მოტყუება! თუ გვიყვარს ქრტეს ეკლესია, თუ შეგვრჩენია ნაპერწკალი სულიერი ძალისა და გვაქვს შეგნება მოვალეობისა, მწყემსნო და მოყვასნო, დრო არ არის საქმეს მოვკიდოთ ხელი?

ო. მწირი.

ბ. დიმიტრას მამიდაშვილს.

1) მაგალითით: „წაუკითხე წიგნი“ ის კი არ გვქონდა მიზნად, რომ სავსებით გამოგვეხატა მდგომარეობა მღვდლისა და ერისა ლოცვის დროს და დამოკიდებულობა მათ შორის, არა ჩვენ მხოლოდ მიქცეული გვქონდა ყურადღება „უნზე“ და გვსურდა გვეთქვა, რომ უნი მაჩვენებელი არის იმისა, რომ მოქმედება სხვისთვის სწარმოებს. მთელი თქვენი „იქით-აქეთ“ ნათქვამი უალაგოა.

2) თქვენ ამგობთ: „აღვასრულოთ“ში უნი სწორეთ იმის მაჩვენებელია, რომ აქ ვედრება სხვისთვის, სრულდება, მაგრამ მას წინ უძღვის ვინი და იგი ამ სხვასთან ერთად ჩვენც გვერდში გვაყენებს.“—„ივანეს პური მოუმკათ“ ჩვენ აქ პურს ვმკით ივანესთვის და არა ჩვენთვის; აქ არა სჩანს, რომ მომკილიდან ჩვენც წილი გვერგება. მთელი ჩვენი მოქმდება—მკა მხოლოდ ივანესთვის სწარმოებს. ასე აქ ვინი ჩვენ ნამოქმედარიდან წილს არ გვაკუთვნის. „ილიას ქათამი შევუწვათ“. აქ ვინი არაა მაჩვენებელი იმისა, რომ ქათმის ფეხიც მაინც შეგვხვდება, „აღვასრულოთში“, მიუხედმვათ ვინისა, მთელი ჩვენი მოქმედება-აღსრულება სხვისთვის სწარმოებს.

3) თქვენ ულაზათოთ „ნათქვამათ“ მიგაჩნიათ ჩემი სიტყვები: „ლოცვა საჭიროა არა იმისთვის, რომ გავაგებინოთ ღმერთსა ჩვენი საჭიროებანი არმედ რათა“ ... მაშ თქვენზე წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებიც „საჩოთირო შთაბეჭდილებას“ მოახდენენ; ის ამბობს: „ლოცვა (თხოვა) საჭიროა არა იმისთვის, რომ ვაუწყოთ ღმერთსა, არამედ იმისთვის, რომ მუდმივ ლოცვით (ხვეწნით) შევუერთდეთ მას; დავმდაბლდეთ-დავმშვიდდეთ, რათა მოვიგონოთ ჩვენნი ცოდვანი“. მთელი თქვენი გაბრტყელებული რისხვითი მსჯავრი ლოცვაზე ჩვენ მიერ ნათქვამის შესახებ უალაგოა.

4) მართალია, თქვენ დიდის რიხით და დიდი მცოდნის კილოთი სწერთ და ხშირად გაიძახით: „ულაზათოდ, მსუბუქად, ლოლიკაში საბუთი არ აქვს, ენა არ იციან და სხვა“, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ შინაურ საქმეების მეორე ნომერში თქვენ მიერ „გაწეულ-გამოწეული“ და აფუებით და ქინქლაკილოებით მოქარგული ნათქვამი „აღვუსრულოთ“ ის შესახებ უადგილოა. ნუთუ გგონიათ, რო წმ. ვასილ და იოანეს დროსაც ლიტურლიებში თხოვნითი კვერექსი აღუსრულოთ“ მოთავსებული იყო? კეთილინებეთ ლიტურლიების რედაკციების ისტორიის გადათვალიერება ⁄ გაიგებთ თუ რა შედგენილობის იყო წირვის წესი წმ. იოანეს დროისა. შემდეგ, თქვენ გადაჭრით ამბობთ, რომ ბერძნული სიტყვა „აღვუსრულოთ“ „გავათავოთ“ს არ ნიშნავსო, არამედ „აბა ვეცადოთ აგა მოვინდომოთ, აბა რაც შეიძლება გულმხურვალეთ დავიწყოთ ღვთის ვედრება“. ბერძნულ ლექსიკონში სწერია: „პლიროო“—дѣлать полнымъ; наполнять; исполнять; оканчивать; совершать; дополнять; удовлетворять; утолять; распространять. აბა შეიძლება თუარა, ვსთქვათ, რო „აღუსრულოთ“. „დავასრულოთ“ს ნიშნავს? თქვენ თვითონ ამბობთ: „პლიროო“ ნიშნავს ავსებას სჭურჭლისას ხოლო ავსება იგივე დასრულება-დათავებაა.

ეპისკოპსი დავითი.

ურწმუნო იყო თუ არა დარვინი?

ჩარლზ დარვინის, მეცხრამეტე საუკუნის ბუნების-მეტყველის, სახელი რადაც ბნელი დამონიური შარავანდედით არის გარემოცული მკითხველ საზოგადოების თვალში; ჩვეულებრივად მას უეურებენ ჯოჯოხეთის ძალთა წამოყენებულ ტიტანთ (გმირთ), რომელმაც კადნიერად გაუშვირა ხელი და გადმოაგდო საუკუნო ტახტიდგან დიდება ღვთისა და თვით ღმერთი. ამ აზრში გულსმოდგინეთ ამტკიცებდა და დღესაც ამტკიცებს საზოგადოებას კრედიკალურ მამართულების ჰრესსა.

მაშინ როდესაც, კერძო მიწერმოწერა ჩარლზ

დარვინისა, რომელიც გამოსცა მისმა შვილმა, თვალწინ გვიხატავს ადამიანს პატიოსანი ჭკუის და ბრწყინვალე შეხედულების პატრონს. დარვინს არასოდეს არ შეეძლო განეშორებია გონებიდგან აზრი ღმერთზე, როგორც პირველმიზეზზე „ჩემ უკიდურეს რყევაში სწერს, დარვინი ბ. ფორდაისს, — მე არასოდეს არ ვყოფილვარ ატეისტი იმ აზრით რომ უარმეყო ღვთის არსებობა“. მეორე წერილში ამერიკელ მწერალ ლიაიელისადმი დარვინი სწერს: „ამ წერილში აღძრული საკითხი ადამიანის გონებას აღემატება ისე, როგორც წინად განჩინება და თავისუფლება ნებისა, ანუ როგორც წარმოშობა ბოროტებისა. რა დაშორებულია ეს სიტყვები მეუდრო მსწავლულისა მის მიმდევართა თვით მოსავ ოცნებებისაგან, რომლებიც ფიქრობდენ, რომ გიპოტეზა, მისგან წამოყენებული, ავალდებულებდა მას უთუოთ მთელი სულიერობის უარისმყოფელი ყოფილიყო.

არ შეიძლება, მადლობა არ განუცხადოთ დარვინის თხუზულებების კრებულის გამომცემლებს მისთვის, რომ მათ იმაცადინეს შეეკრიფებიათ და მიეცათ საზოგადოებისათვის მცირედი ნაწილი მაინც შესანიშნავ ბუნების მკვლევარის კერძო წერილებისა.

(რებუსი.)

რედაქციისაგან.

,,ხელის'' წერილის საპასუხო წერილში ბ. სასულიერო რედაქციას თხოვს ადგილი დაუთმოს თავის გამოცემაში ბერობის საკითხს. დიდი სიამოვნებით ვასრულებთ. ბ. სასულიეროს თხოვნას, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ არავინ ამ საკითხის გამოსაკვლევად და ჩვენი ბერობის ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად თავს არ აიტკენს, თვით სწავლული ბერებიც კი, რომლებიც არა ნაკლებ სხვებისა ეძებენ მოსვენებულ და უზრუნველ ცხოვრებას დიდ ქალაქებში. ყოველ შემთხვევაში ჩვენი გამოცემა მზათ არის ხელი შეუწყოს ყოველ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ საკითხის გამორკვევას; მიზანიც ეს არის მისი და გვიკვირს, რათ დასჭირდა ბ. სასულიეროს კერძოთ თხოვნის შეტანა ამაზე?

რედ.

განცხადება.

„შინაური საქმეების რედაქციაში“

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

1, წიგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
2, სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა — — — 5 კაპ.
3, ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ.
4, ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში — — — 10 კაპ.
5, ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე — — — — 10 კაპ.
6, სიკვდილი მართლისა — — 5. კაპ.
7, პატარა ქრისტიანი — — 2. კაპ.

ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს მანეთზე აბაზი დაეთმობა.

ვამზადებ
სამღვდელო და სადიაკვნო
საგნებში,

ეგრეთვე სამასწავლებლო ეგზამენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კაზაკოვის ქუჩა, № 17

რედაკტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

Типографія Кутаисскаго редигіозно-просвѣтительнаго ,,братства'' Тифлиская домъ Кирищева